



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #106/12¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

გურამ ლექვინაძე (სტუდენტი)

ფაქტები:

საჩივრის ავტორსა და ადვოკატის კლიენტს ჰქონდათ უძრავ ქონების საკუთრებასთან დაკავშირებით სამოქალაქო დავა. ადვოკატმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შეიტანა განცხადება კლიენტის მატერიალური მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, საჩივრის ავტორის სახელზე პრივატიზებულ ბინაზე ყადაღის დადების მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განჩინებით აღნიშნული განცხადება დააკმაყოფილა. თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა კლიენტის მოთხოვნა და მიაკუთვნა მას წილი პრივატიზაციით მიღებული ქონებიდან. ადვოკატმა სამოქალაქო რეესტრში კლიენტის ნაცვლად თავად მოაწერა ხელი დოკუმენტს „საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობა“ და ამ დოკუმენტის საფუძველზე კლიენტი დარეგისტრირდა პრივატიზებულ ბინაში. აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების საფუძველით.

პროცესუალური ისტორია:

საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. კოლეგიამ დაადგინა რომ ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.1. მუხლი და გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატ-კლიენტის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა ზოგადი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან, ზეპირი ხელშეკრულების გაწევის საფუძველზე. შესაბამისად, დოკუმენტის შევსებისას იგი საადვოკატო მომსახურებას ანხორციელებდა. ადვოკატს კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა განეხორციელებინა კანონით განსაზღვრული საშუალებების გამოყენებით და მიზნად არ უნდა დაესახა კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიღწევა არაკანონიერი საშუალებების გამოყენების გზით. კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას, ნიმუშად შევსებულ დოკუმენტს საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობას, ადვოკატმა, სხვა პირის სახელისა და გვარის მითითებით მოაწერა ხელი. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც რომ ადვოკატის ამ ქმედებაზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომლის ფარგლებშიც გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. ასეთ დროს სასამართლო ადგენს ფაქტებს, თუმცა არ იკვლევს მათ. სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებულ განაჩენში, რომლითაც ადვოკატი საპროცესო შეთანხმების პირობებს დათანხმდა, ფაქტები არ არის გამოკვლეული, შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში არ არის დადგენილი ადვოკატისთვის ინკრიმინირებული დანაშაულის მოტივი. ეთიკის კომისიამ განმარტა რომ ადვოკატის მიერ უფლებამოსილების განხორციელება მოხდა არა განზრახ არამედ დაუდევრობით, რადგან ადვოკატმა არასრულად შეავსო საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობა. ადვოკატის მოტივი რომ ყოფილიყო დოკუმენტის გაყალბება სრული

¹ გადაწყვეტილება 106/12, თარიღი 09.02.2013

<https://www.gba.ge/pdf/5c4c373385822.pdf/5c4c373385822.pdf>

მონაცემებით შეავსებდა დოკუმენტს. დოკუმენტში არ იყო აღნიშნული პირადობის ნომერი და აგრეთვე კლიენტის ნაცვლად ადვოკატის ხელმოწერა ფიქსირდებოდა. ადვოკატმა გაუფრთხილებლობით წინდახედულობის ფარგლებში დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.1. მუხლი.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განსაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.